07/02/2023

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ს

მის ყოვლადუწმინდესობას, კონსტანტინეპოლის, – ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ს

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ,

შეძრული ვართ მომხდარი ტრაგედიით, დიდია მწუხარება და ტკივილი, რომელიც მოიტანა დამანგრეველმა მიწისძვრამ.

გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი სამძიმარი და გადასცეთ იგი გარდაცვლილთა ოჯახებს.

ვლოცულობთ დაშავებულთა გადარჩენისა და გამოჯანმრთელებისთვის.

,,თვით მშვიდობის უფალმა მოგცეთ მშვიდობა ყველგან და ყოველთვის. უფალი იყოს ყველა თქვენგანთან.“ (2 თეს. 3:16).

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური